14

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 31/00 „18" ივნისი 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჯერენაშვილი

„18 ივნისი" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96

ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

15

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური(კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.5
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.7
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;	
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება	
2.3 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.8
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ.9
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.9
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები. დანართი	A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები. დანართი	B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №36/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, ტელ(995 32)92 18 91

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი); აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – მინისტრის აპარატი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური-სახაზინო სამსახური.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისსაქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყოფა: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაცია;
- ყველა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილებისა და ლტოლვილის და მათი შთამომავლების ღირსეული დაბრუნების, რეინტეგრაციისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყოფა;
- საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყოფა; ფართო სამოქალაქო ინტეგრაციული პტოცესების წარმართვა;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციების განხორციელება შესაბამისი წარმომადგენლების მეშვეობით ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო რწმუნიბულთან–გუბერნარორებთან და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან უწყებათაშორისი თანამშრომლობა;
- „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური კურსისა და სტრატეგიის თაობაზე წინადადებების შემუშავება
- „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური კურსისა და სტრატეგიის თაობაზე წინადადებების შემუშავების მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2009 წელს გამოეყო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 75,0 ათასი ლარი, კერძოდ:
საქართველოს მთავრობის განკარგულება №606 (14.08 2009 წელი) ,,2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის წლისთავთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიშის ქართულ და რუსულ ენებზე წიგნათ გამოცემის, DVD ვერსიებად დამზადებისა და მისი შემდგომი პრეზენტაციის ღირებულების ანაზღაურების მიზნით" გამოყოფილი იქნა 35.0 ათასი ლარი, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გაიხარჯა 24,5 ათასი ლარი, ხოლო 10,5 ათასი ლარი გაიცა მივლინებებზე. კერძოდ: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 15 სექტემბრის N75–მ ბრძანების საფუძველზე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დავით რაქვიაშვილი იმყოფებოდა ჟენევაში სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში და მიცემული იქნა მივლინების თანხა 2,1 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 15 სექტემბრის N76–მ ბრძანების საფუძველზე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემური იაკობაშვილი მივლინებული იქნა აშშ–ში, ქ. ნიუ–იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეის 64–ე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და მიცემული იქნა მივლინების თანხა 8,4 ათასი ლარის ოდენობით.
საქართველოს მთავრობის №776 (22.10.09), №879 (18.11.09), №976 (15.12.09), განკარგულებების საფუძველზე აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და 2009 წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი მოვლენების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იქნა 40.0 ათასი ლარი, რაც გახარჯული იქნა სრულად.

III. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობები:

/ათას ლარში/

	ცირკულარით განსაზღვრული	საბიუჯეტო განაცხადით განსაზღვრული	დამტკიცებული
ასიგნებების ზღვრული მოცულობა	1 330.0	1 330.0	1 330.0
კადრების ზღვრული მოცულობა	57	57	57

"2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის №139 დადგენილებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრა შესაბამისად 57 ერთეულით და 1 330.0 ათასი ლარით.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (30/12/08; №945) სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაუმტკიცდა საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი მთლიანი ასიგნება 1 330.0 ათასი ლარის ოდენობით და მომუშავეთა რიცხოვნობა 57 ერთეულით.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 1330.0 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1405.0 ათასი ლარი, ანუ 75.0 ათასი ლარით მეტი, რაც გამოწვეული იქნა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2009 წლის ასიგნების მთლიან მოცულობაში ფინანსთა სამინისტროს თანხმობით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

/ ათას ლარში/

მუხლებს შორის გადანაწილება		თანხა
არაფინანსური აქტივები	17.03.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №86	-12,0
საქონელი და მომსახურება		12,0
არაფინანსური აქტივები	15.06.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №269	-18,0
საქონელი და მომსახურება		18,0
შრომის ანაზღაურება	22.10.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №587	-40.0
საქონელი და მომსახურება		40.0
საქონელი და მომსახურება	16.12.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №760	15,0
შრომის ანაზღაურება		12,0
არაფინანსური აქტივები		3,0
საქონელი და მომსახურება	24.12.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №772	3,0
შრომის ანაზღაურება		3,0

აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 51^3-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მუხლობრივი გადანაწილების მოცულობა არ აღემატება მთლიანი ასიგნებების 10%-ს.

ბ) დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

2009 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილი ასიგნებები და გაწეული ხარჯების შესახებ:

/ათას ლარში/

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გაგმით	დაზუსტებული გაგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა
2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული	1330.0	1405.0	-	-	-	-	-
ხარჯები	1270.0	1403.0	1402.9	1402.9	1402.9	1445.6	42.6
შრომის ანაზღაურება	899.9	850.9	850.8	850.8	850.8	850.8	0
სარგო			620.0	620.0	620.0	620.0	0
პრემია			230.8	230.8	230.8	230.8	0

საქონელი და მომსახურება	370.1	552.1	552.1	552.1	552.1	546.9	-5.2
შტატგარეშეთა ანაზღაურება			16.4	16.4	16.4	16.4	0
მივლინებები			215.8	215.8	215.8	217.0	1.2
ოფისის ხარჯები			176.8	176.8	176.8	168.2	-8.6
წარმომადგენლობითი ხარჯები			40.9	40.9	40.9	39.6	-1.3
ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები			79.6	79.6	79.6	83.2	3.6
სხვა საქონელი და მომსახურება			22.3	22.3	22.3	22.2	-0.1
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						47.8	47.8
არაფინანსური აქტივები	60	2.0	1.7	1.7	1.7	---	---
მანქანა-დანადგარები			1.7	1.7	1.7	---	---

ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 42,6 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ:

- „მივლინებების მუხლში“ ფაქტიური ხარჯი 1,2 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯთან, რაც გამოწვეულია საკასო ხარჯის გასული წლის ბოლოს გაწევით, ხოლო დარიცხვა მოხდა ფაქტიური ხარჯის წარმოდგენის შემდეგ.

- „ოფისის“ და „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლში საკასო ხარჯის მეტობა 9,9 ათასი ლარის ოდენობით ფაქტობრივ ხარჯთან გამოიწვია გასული წლის დეკემბრის თვის ხარჯების დაგვიანებით, რომლის გასტუმრება მოხდა მიმდინარე წელს.

- „ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა–შენახვის“ მუხლში 3,6 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯის მეტობა საკასო ხარჯთან გამოიწვია საწვავის ტალონების რესურსის არსებობამ, რაც ერიცხება ანგარიშვალდებულ პირებს.

- „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში 47,8 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი წარმოადგენს ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხას.

მინისტრის აპარატის თანამშრომელთა პერსონალსა და მათ მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები:

/ათას ლარში/

ხარჯი	ერთეული	თანხა 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	57	620.0	0.91
პრემია	57	230.8	0.34
საკომუნიკაციო ხარჯი	57	77.8	0.11
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	8	52.4	0.55
ტექმომსახურება	8	28.9	0.3

ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2009 წელს გამოეყო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 75,0 ათასი ლარი, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის განკარგულება №606 (14.08 2009 წელი) ,,2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის წლისთავთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიშის ქართულ და რუსულ ენებზე წიგნათ გამოცემის, DVD ვერსიებად დამზადებისა და მისი შემდგომი პრეზენტაციის ღირებულების ანაზღაურების მიზნით" გამოყოფილი იქნა 35.0 ათასი ლარი, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გაიხარჯა 24,5 ათასი ლარი, ხოლო 10,5 ათასი ლარი გაიცა მივლინებებზე. კერძოდ: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 15 სექტემბრის N75–მ ბრძანების საფუძველზე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დავით რაქვიაშვილი იმყოფებოდა ჟენევაში სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში და მიცემული იქნა მივლინების თანხა 2,1 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 15 სექტემბრის N76–მ ბრძანების საფუძველზე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემური იაკობაშვილი მივლინებული იქნა აშშ–ში, ქ. ნიუ–იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეის 64–ე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და მიცემული იქნა მივლინების თანხა 8,4 ათასი ლარის ოდენობით.
საქართველოს მთავრობის №776 (22.10.09), №879 (18.11.09), №976 (15.12.09), განკარგულებების საფუძველზე აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და 2009 წლის

ბოლომდე მნიშვნელოვანი მოვლენების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იქნა 40.0 ათასი ლარი, რაც გახარჯული იქნა სრულად.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

2009 წლის ბიუჯეტით რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს გეგმით დამტკიცებული ქონდა 60.0 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები, დაზუსტებული გეგმით შეადგინა 2.0 ათასი ლარი, საიდანაც 1.7 ათასი ლარი გაიხარჯა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის მუხლით. შეძენილი იქნა ორი ცალი ვინჩესტერი, აპარატის კომპიუტერული ქსელის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო მინისტრის აპარატს ერიცხებოდა:
14.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, საანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება შემცირდა 3.2 ათასი ლარით და შეადგინა 11.5 ათასი ლარი.
10.0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საანგარიშო პერიოდში შემცირდა 8.3 ათასი ლარით და 2010 წლის პირველი იანვრისათვის ჯამში შეადგინა 1.7 ათასი ლარი.

/ ათასი ლარი/

დავალიანების დასახელება	2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ცვლილება საანგარიშო პერიოდში	
			ზრდა	შემცირება
დებიტორული დავალიანება	**14.7**	**11.5**	-	**3.2**
ა/ვ მივლინება	8.0	6.7	-	1.3
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირის მიმართ	6.7	4.8	-	1.9
კრედიტორული დავალიანება	**10.0**	**1.7**	-	**8.3**
საწვავი და ტექ. მომსახურება		1.7	-	-

კრედიტორული დავალიანების ნაშთი 10,0 ათასი ლარი, გამოწვეული იყო 2008 წლის დეკემბრის თვის კომუნალური თანხების 2009 წლის იანვარში დაგვიანებით წარდგენით. ხარჯების აღიარება მოხდა 2008 წლის 31 დეკემბერს, ხოლო გასტუმრება 2009 წლის პირველ კვარტალში.
დებიტორული დავალიანება ერიცხება ანგარიშვალდებულ პირს.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე	ხელმოწერა/თარიღი 18.05.10
აუდიტორი გიორგი მშვილდაძე	18.05.1

დანართი A

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

თ. იაკობაშვილი - რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი.

რ. აბაშიძე - აპარატის უფროსი - 2009 წლის აპრილამდე.

ნ. დარჩიაშვილი - აპარატის უფროსი - 2009 წლის აპრილიდან.

ი. ბალიაშვილი - მთავარი ბუღალტერი.

დანართი B

გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

საქართველოს კანონი „ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";
საქართველოს კანონი „ საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივნისის N437 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 თებერვლის N129 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია"
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ";
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ".